ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.01.2021
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/21

შეკითხვა:

კოლეგამ ადვოკატ „ბ“-ს წინააღმდეგ, როგორც კლიენტ „დ“-ს წარმომადგენელმა მიმართა საჩივრით პროკურატურას. კლიენტი „დ“ არის ადვოკატ „ბ“-ს ყოფილი კლიენტი. კოლეგა საჩივარში უთითებს, რომ ადვოკატმა „ბ“-მ „მოატყუა კლიენტი, ის არის თაღლითი“. მოცემულ შემთხვევაში, კოლეგის ამგვარი სახით შეფასება არის თუ არა კოლეგიალობის პრინციპის დარღვევა?

ანალიზი:

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი მე-7 მუხლი, 10.1 მუხლი).

ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვა გულისხმობს კოლეგისადმი პატივისცემის გამოხატვას, რაც მოიცავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატის მიმართ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში მოქმედებას. დაუშვებელია კოლეგისადმი უხეში და შეურაცხმყოფელი მოქცევა. მოცემულ შემთხვევაში, წერილობითი განცხადების წარდგენის დროს ადვოკატს შეეძლო საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ისე, რომ არ გამოეყენებინა ისეთი სიტყვები, როგორიცაა „თაღლითი, მატყუარა“ და შესაძლოა, ადვოკატს არა მტკიცებით ფორმაში, არამედ სხვაგვარად, სამართლებრივ ჭრილში შეეფასებინა კოლეგის კონკრეტული ქმედება. შედეგად, ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ეთიკურ ვალდებულებათა დაცვის ფარგლებში კლიენტის ინტერესების საუკეთესოდ წარმოჩენა. ადვოკატის მიერ ზემოაღნიშნული ფრაზების მითითება არ არის იმ მიზნის პროპორციული, რასაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედება ჰქვია.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.